

<p>საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება</p>	<p>ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი მისამართი: 6010. ქ.ბათუმი, ნინოშვილის ქ №34, ტელ/ფაქსი (+995 222) 27 17 87 ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge</p>
<p>საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება</p>	<p>აგრარული ტექნოლოგიები</p>
<p>მისანიჭებელი კვალიფიკაცია</p>	<p>აგრარულ მეცნიერებათა ბაკალავრი</p>
<p>პროგრამის მოცულობა კრედიტებში</p>	<p>240 კრედიტი: ძირითადი სპეციალობა - 180 კრედიტი. დამატებითი სპეციალობა ან არჩევითი კურსები - 60 კრედიტი.</p>
<p>საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი</p>	<ul style="list-style-type: none"> • მისცეს სტუდენტს ფართო განათლება ზუსტ, საბუნებისმეტყველო, ჰუმანიტარულ და აგრარულ მეცნიერებებში. • შეასწავლოს სტუდენტს: <p style="text-align: center;">სპეციალიზაციის მოდული - „აგრონომია“</p> <p>სასოფლო სამეურნეო კულტურების სამეურნეო ნიშან-თვისებები, მათი მოვლა - მოყვანის თანამედროვე ტექნოლოგიები, ახალი და გაუმჯობესებული ჯიშების შერჩევა - გამოყვანის, სარგავი მასალის გამოყვანისა და გამრავლების მეთოდები, მცენარეში მიმდინარე სასიცოცხლო პროცესების კანონზომიერებები, ორგანიზმების, ბუნებრივი პოპულაციების, ბიოცენოზების, აგროლანდშაფტების ეკოლოგია; ნიადაგების ნაყოფიერების ზრდისა და ეკოლოგიური წონასწორობის აღდგენის გზები და მეთოდები, ეროზიის პრობლემები; სასუქების შენახვისა და გამოყენების ეკოლოგიური ასპექტები.</p> <p style="text-align: center;">სპეციალიზაციის მოდული „აგროეკოლოგია“</p> <p>აგროეკოსისტემების მდგრადობა და მის ფუნქციონირება ტექნოგენეზის პირობებში; ალტერნატიული და ბიოლოგიური მიწათმოქმედებისა და მდგრადი სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხები;</p> <p style="text-align: center;">სპეციალიზაციის მოდული „მცენარეთა დაცვა“</p> <p>მცენარეთა მავნე ორგანიზმების მორფოლოგია, ანატომია, სისტემატიკა და ბიოეკოლოგია და მათ წინააღმდეგ ბრძოლის აგროტექნოლოგიური, სანიტარულ-ჰიგიენური, ფიზიკური, ქიმიური ინტეგრირებული ეკოლოგიურად უსაფრთხო ბიოლოგიური მეთოდები;</p> <p style="text-align: center;">სპეციალიზაციის მოდული „სატყეო საქმე“</p> <p>ტყის კულტურების წარმოების თავისებურებანი; კორომების აღნაგობის, ტყის ჭრების, ტყის აღდგენის თანამედროვე წესები; ტყის ტიპები, ტყის სიმწიფის ფორმები და ტყეთმომწყობითი სამუშაოების ჩატარების წესები.</p> • მოამზადოს თეორიული და პრაქტიკული საქმიანობაზე ორიენტირებული სპეციალისტი, შემოქმედებითი, ლოგიკური და კრიტიკული აზროვნების, ანალიზის, შეფასების, პრობლემის გადაჭრის უნარ- ჩვევებით აგრარულ, ეკოლოგიურ, მცენარეთა დაცვის და სატყეო მიმართულებებში; როგორც კლასიკური მეთოდებით, ასევე თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით, რომელიც იქნება მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებისა და აქტივობის, ჰუმანიზმის, დემოკრატიის პრინციპების მატარებელი თავისუფალი პიროვნება.
<p>სწავლის შედეგები</p>	<p style="text-align: center;">სპეციალიზაციის მოდული - აგრონომია</p> <p>ცოდნა და გაცნობიერება</p> <ul style="list-style-type: none"> • აქვს ცოდნა მცენარის სტრუქტურის, ბიოლოგიის, მცენარეში მიმდინარე სასიცოცხლო პროცესების კანონზომიერებების, მცენარის მემკვიდრეობითობისა და ცვალებადობის პროცესების, ახალი და გაუმჯობესებული ჯიშების შერჩევის და გამოყვანის მეთოდების; ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების და კვლავწარმოების საკითხების შესახებ; • ფლობს ნიადაგის ფიზიკურ - ქიმიურ თვისებების, ნიადაგწარმომქმნელი პროცესების, ნიადაგის დამუშავების ტექნიკური საშუალებების გამოყენების, განოყიერების სისტემების, ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების წესების თეორიულ საკითხებს და ახდენს მათ გააზრებას

- ფლობს მეტეოროლოგიური მოვლენების აღრიცხვისა და კლიმატური პირობების ფორმირების კანონზომიერებების საკითხებს, მელიორაციის ხერხებს და მეთოდებს,
- სასოფლო სამეურნეო წარმოებაში გამოყენებული ტექნიკური საშუალებების, ნიადაგის დამუშავებისადმი წაყენებული აგროტექნიკური მოთხოვნების, მცენარეთა მავნებლებისა და დავადებებისაგან დაცვის საკითხებს;
- აქვს ცოდნა ეკოლოგიურ ფაქტორებსა და სასოფლო-სამეურნეო კულტურებს შორის კავშირების, ტყის ეკოსისტემების ნიადაგდაცვითი, წყალდაცვითი, თვისებების, ბიომეურნეობების, სასოფლო სამეურნეო და ტყის მცენარეთა მავნებელ - დავადებების და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების შესახებ, სოფლის მეურნეობაში შრომის უსაფრთხო პირობების შექმნის წესების შესახებ.
- ფლობს ჩაის, სუბტროპიკული, ტექნიკური, ბოსტნეულ - ბაღჩეული და მრავალწლიანი კულტურების მნიშვნელობის, მათი ბიოლოგიური თავისებურებების, მოვლა- მოყვანის თანამედროვე ხერხების და მეთოდების, მოსავლის პროგნოზირების განმსაზღვრელი ფაქტორების შესახებ ცოდნას. ფლობს მეცხოველეობა - მეფუტკრეობის, მევენახეობის საკითხებს.
- აცნობიერებს დარგის მნიშვნელობას სოფლის მეურნეობის და ქვეყნის მდგრადი განვითარების საქმეში.

უნარი

- შეუძლია კულტურულ მცენარეთა მოვლა-მოყვანის პროგრესული ტექნოლოგიების გამოყენება უხვი და ხარისხიანი მოსავლის მისაღებად. შესაფერისი აგროტექნიკური ღონისძიებების დასახვა და ჩატარება, სასოფლო-სამეურნეო კულტურების სარგავი მასალის გამოყვანა-გამრავლება ტრადიციული და პროგრესული მეთოდებით
- შეუძლია ორგანული და მინერალური სასუქების შერჩევა ნიადაგის არის რეაქციის შესაბამისად. ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენის წესების და მეთოდების გამოყენება, მოცემული აგროკლიმატური ზონის მეტეოროლოგიურ კლიმატური პირობების განსაზღვრა და გათვალისწინება სასოფლო სამეურნეო კულტურების განვითარებისა და მოსავლის პროგნოზირების მეთოდების დამუშავების დროს, გარემოზე ამა თუ იმ ფაქტორის მოქმედების განსაზღვრა და უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილების გზებისა და ხერხების დაგეგმვა წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად;
- შეუძლია ქიმიის, მათემატიკის, ფიზიკის და საინფორმაციო ტექნოლოგიების დისციპლინათა თეორიული ცოდნის გამოყენება აგრარული დარგის სფეროში;
- შეუძლია სუბტროპიკულ მცენარეთა ვეგეტატიური და გენერაციული გამრავლება, წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად, საბაღე ნაკვეთის დაგეგმვა, სარგავი მასალის მომზადება დასარგავად, ნერგების მოვლა და სარეველების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების ჩატარება. ღია გრუნტში და სათბურში ჩითილის გამოყვანა, დარგვა და მოვლითი ღონისძიებების ჩატარება;
- შეუძლია საველე პირობებში ვენახის გაშენება და მოვლა, ხეხილის მცნობის, ნერგების გამოყვანის, დარგვის და მოვლითი ღონისძიებების ჩატარება. პოლიეთილენის პარკებში ჩაის მცენარეთა დაკალმების მეთოდით მაღალხარისხოვანი სტანდარტული სარგავი მასალის გამოყვანა, ნიადაგის დამუშავება-განოყიერება და ნერგის დასარგავად მომზადება.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

- აქვს შემოქმედებითი, ლოგიკური და კრიტიკული აზროვნების, მკაფიოდ გამოკვეთილი პრობლემების ამოცნობის, ანალიზის, ახალი მოწინავე მეთოდების (მათ შორის წერითი, კომუნიკაციური და სხვ.) კომპიუტერული პროგრამების გამოყენებით დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბების უნარი
- განსაზღვრავს სწავლის შემდგომ საფეხურზე გაგრძელების და პროფესიული განვითარების საჭიროებებს

სპეციალიზაციის მოდული „აგროეკოლოგია ცოდნა და აცნობიერება“

- აქვს ცოდნა მცენარის სტრუქტურის, ბიოლოგიის, მცენარეში მიმდინარე სასიცოცხლო პროცესების კანონზომიერებების, მცენარის მემკვიდრეობითობისა და ცვალებადობის პროცესების, ახალი და გაუმჯობესებული ჯიშების შერჩევის და გამოყვანის მეთოდების; ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების და კვლავწარმოების საკითხების შესახებ;
- ფლობს ნიადაგის ფიზიკურ - ქიმიურ თვისებების, ნიადაგწარმომქმნელი პროცესების, ნიადაგის დამუშავების ტექნიკური საშუალებების გამოყენების, განოციერების სისტემების, ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების წესების თეორიულ საკითხებს და ახდენს მათ გააზრებას
- ფლობს მეტეოროლოგიური მოვლენების აღრიცხვისა და კლიმატური პირობების ფორმირების კანონზომიერებების საკითხებს, მელიორაციის ხერხებს და მეთოდებს, სასოფლო სამეურნეო წარმოებაში გამოყენებული ტექნიკური საშუალებების, ნიადაგის დამუშავებისადმი წაყენებული აგროტექნიკური მოთხოვნების, მცენარეთა მავნებლებისა და დავადებებისაგან დაცვის საკითხებს;
- აქვს ცოდნა ეკოლოგიურ ფაქტორებსა და სასოფლო-სამეურნეო კულტურებს შორის კავშირების, ტყის ეკოსისტემების ნიადაგდაცვითი, წყალდაცვითი, თვისებების, ბიომეურნეობების, სასოფლო სამეურნეო და ტყის მცენარეთა მავნებელ - დაავადებების და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების შესახებ, სოფლის მეურნეობაში შრომის უსაფრთხო პირობების შექმნის წესების შესახებ.
- იცის ეკოლოგიური სოფლის მეურნეობის წარმოების მნიშვნელობა ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის და გარემოს მდგრადი განვითარების საქმეში, ცოცხალ ორგანიზმებზე გარემო ფაქტორების ზემოქმედება და ძირითადი სასოფლო - სამეურნეო კულტურების აგროეკოლოგიური თავისებურებები; გარემოზე და მის ელემენტებზე ინფორმაციის მოპოვების, გარემოში მიმდინარე პროცესებისა და მოსალოდნელი ცვლილებების აღრიცხვის მეთოდები. ნიადაგის ეკოლოგიის საკითხები. აცნობიერებს დარგის მნიშვნელობას სოფლის მეურნეობის და ქვეყნის მდგრადი განვითარების საქმეში.

უნარი

- შეუძლია კულტურულ მცენარეთა მოვლა-მოყვანის პროგრესიული ტექნოლოგიების გამოყენება უხვი და ხარისხიანი მოსავლის მისაღებად. შესაფერისი აგროტექნიკური ღონისძიებების დასახვა და ჩატარება, სასოფლო-სამეურნეო კულტურების სარგავი მასალის გამოყვანა-გამრავლება ტრადიციული და პროგრესული მეთოდებით
- შეუძლია ორგანული და მინერალური სასუქების შერჩევა ნიადაგის არის რეაქციის შესაბამისად. ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენის წესების და მეთოდების გამოყენება, მოცემული აგროკლიმატური ზონის მეტეოროლოგიურ კლიმატური პირობების განსაზღვრა და გათვალისწინება სასოფლო სამეურნეო კულტურების განვითარებისა და მოსავლის პროგნოზირების მეთოდების დამუშავების დროს, გარემოზე ამა თუ იმ ფაქტორის მოქმედების განსაზღვრა და უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილების გზებისა და ხერხების დაგეგმვა წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად;
- შეუძლია ქიმიის, მათემატიკის, ფიზიკის და საინფორმაციო ტექნოლოგიების დისციპლინათა თეორიული ცოდნის გამოყენება აგრარული დარგის სფეროში;
- შეუძლია ეკოლოგიური ფაქტორების მოთხოვნილებების მიხედვით სასოფლო-სამეურნეო კულტურათა განლაგება; ორგანული სოფლის მეურნეობის წარმოების ძირითადი პრინციპების და მეთოდების გამოყენება აგროეკოსისტემების შენარჩუნება-განვითარების, ეკოლოგიურად სუფთა კვების პროდუქტების წარმოების საქმეში, გარემომცველი სამყაროს ეკოლოგიური სისუფთავის შენარჩუნების, მცენარეთა და ცხოველთა დაცვის, ჯანსაღი, მდიდარი გარემოს შექმნისა და შენარჩუნების საქმეში; სათანადო მითითებებით და თეორიული ცოდნის გამოყენებით შეუძლია გარემოზე ქიმიური მრეწველობის ნეგატიური ზემოქმედების მინიმალიზაცია; აგროცენოზების სტრუქტურის, პროდუქტიულობის, გარემოზე ამა თუ იმ ფაქტორის მოქმედების განსაზღვრა და უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილება წინასწარ განსაზღვრული მითითებების

გათვალისწინებით.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

- აქვს შემოქმედებითი, ლოგიკური და კრიტიკული აზროვნების, მკაფიოდ გამოკვეთილი პრობლემების ამოცნობის, ანალიზის, ახალი მოწინავე მეთოდების (მათ შორის წერითი, კომუნიკაციური და სხვ.) კომპიუტერული პროგრამების გამოყენებით დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბების უნარი
- განსაზღვრავს სწავლის შემდგომ საფეხურზე გაგრძელების და პროფესიული განვითარების საჭიროებებს

სპეციალიზაციის მოდული „მცენარეთა დაცვა“

ცოდნა და გაცნობიერება

- აქვს ცოდნა მცენარის სტრუქტურის, ბიოლოგიის, მცენარეში მიმდინარე სასიცოცხლო პროცესების კანონზომიერებების, მცენარის მემკვიდრეობითობისა და ცვალებადობის პროცესების, ახალი და გაუმჯობესებული ჯიშების შერჩევის და გამოყვანის მეთოდების; ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების და კვლავწარმოების საკითხების შესახებ;
- ფლობს ნიადაგის ფიზიკურ - ქიმიურ თვისებების, ნიადაგწარმომქმნელი პროცესების, ნიადაგის დამუშავების ტექნიკური საშუალებების გამოყენების, განოყიერების სისტემების, ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების წესების თეორიულ საკითხებს და ახდენს მათ გააზრებას
- ფლობს მეტეოროლოგიური მოვლენების აღრიცხვისა და კლიმატური პირობების ფორმირების კანონზომიერებების საკითხებს, მელიორაციის ხერხებს და მეთოდებს, სასოფლო სამეურნეო წარმოებაში გამოყენებული ტექნიკური საშუალებების, ნიადაგის დამუშავებისადმი წაყენებული აგროტექნიკური მოთხოვნების, მცენარეთა მავნებლებისა და დაავადებებისაგან დაცვის საკითხებს;
- აქვს ცოდნა ეკოლოგიურ ფაქტორებსა და სასოფლო-სამეურნეო კულტურებს შორის კავშირების, ტყის ეკოსისტემების ნიადაგდაცვითი, წყალდაცვითი, თვისებების, ბიომეურნეობების, სასოფლო სამეურნეო და ტყის მცენარეთა მავნებელ - დაავადებების და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების შესახებ, სოფლის მეურნეობაში შრომის უსაფრთხო პირობების შექმნის წესების შესახებ.
- აქვს ცოდნა სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და ტყის მცენარეთა მავნე ორგანიზმების (ვირუსები, ბაქტერიები, სოკოები, მწერები, ტკიპები, ნემატოდები, სარეველები და სხვა) მორფოლოგია, სისტემატიკა და ბიოეკოლოგია; მცენარის დაზიანების და დაავადებების სიმპტომები, სასოფლო - სამეურნეო ნათესარებსა და ნარგავებში გავრცელებული სარეველა მცენარეების ბიოეკოლოგია, მცენარეთა მავნე ორგანიზმების იდენტიფიკაციის ტრადიციული და თანამედროვე მეთოდები, მავნე ორგანიზმების გამოჩენის, განვითარებისა და გავრცელების ვადები, მათი რიცხოვნების პროგნოზირების მეთოდები, ენტომოფაგების, აკარიფაგებისა და ჰერბოფაგების გამრავლების, შენახვის და გამოყენების მეთოდები; აგრონომიული ტოქსიკოლოგიის საფუძვლები, პესტიციდების კლასიფიკაცია, მავნებლების, დაავადებების და სარეველებისაგან მცენარეთა დაცვის მეთოდები.

უნარი

- შეუძლია კულტურულ მცენარეთა მოვლა-მოყვანის პროგრესიული ტექნოლოგიების გამოყენება უხვი და ხარისხიანი მოსავლის მისაღებად. შესაფერისი აგროტექნიკური ღონისძიებების დასახვა და ჩატარება, სასოფლო-სამეურნეო კულტურების სარგავი მასალის გამოყვანა-გამრავლება ტრადიციული და პროგრესული მეთოდებით
- შეუძლია ორგანული და მინერალური სასუქების შერჩევა ნიადაგის არის რეაქციის შესაბამისად. ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენის წესების და მეთოდების გამოყენება, მოცემული აგროკლიმატური ზონის მეტეოროლოგიურ კლიმატური პირობების განსაზღვრა და გათვალისწინება სასოფლო სამეურნეო კულტურების განვითარებისა და მოსავლის პროგნოზირების მეთოდების დამუშავების დროს, გარემოზე ამა თუ იმ ფაქტორის მოქმედების განსაზღვრა და უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილების გზებისა და ხერხების დაგეგმვა წინასწარ

განსაზღვრული მითითებების შესაბამისად; შეუძლია ქიმიის, მათემატიკის, ფიზიკის და საინფორმაციო ტექნოლოგიების დისციპლინათა თეორიული ცოდნის გამოყენება აგრარული დარგის სფეროში;

- შეუძლია: ნათესარებისა და ნარგავების მავნე ორგანიზმთა გამოცნობა, მათი გავრცელება - განვითარების პროგნოზი და მთლიანად ფიტოსანიტარული მდგომარეობის შეფასება მცენარეთა დაცვითი ღონისძიებების დროულად გატარების საქმეში, აგროცენოზებში მავნე ორგანიზმთა ბუნებრივი მტრების (სასარგებლო მწერები, ტკიპები და მიკროორგანიზმები) როლის განსაზღვრა მავნე ორგანიზმებთან ბრძოლის ეკოლოგიურად უსაფრთხო მეთოდების შესამუშავებლად, ადამიანისათვის ნაკლებად საშიში მცენარეთა ქიმიური დაცვის საშუალებების სწორად შერჩევა და მათი რაციონალური გამოყენება სასოფლო - სამეურნეო კულტურების ინტეგრირებული დაცვის სისტემაში.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

- აქვს შემოქმედებითი, ლოგიკური და კრიტიკული აზროვნების, მკაფიოდ გამოკვეთილი პრობლემების ამოცნობის, ანალიზის, ახალი მოწინავე მეთოდების (მათ შორის წერითი, კომუნიკაციური და სხვ.) კომპიუტერული პროგრამების გამოყენებით დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბების უნარი
- განსაზღვრავს სწავლის შემდგომ საფეხურზე გაგრძელების და პროფესიული განვითარების საჭიროებებს

სპეციალიზაციის მოდული „სატყეო საქმე“

ცოდნა და გაცნობიერება

- აქვს ცოდნა მცენარის სტრუქტურის, ბიოლოგიის, მცენარეში მიმდინარე სასიცოცხლო პროცესების კანონზომიერებების, მცენარის მემკვიდრეობითობისა და ცვალებადობის პროცესების, ახალი და გაუმჯობესებული ჯიშების შერჩევის და გამოყვანის მეთოდების; ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების და კვლავწარმოების საკითხების შესახებ;
- ფლობს ნიადაგის ფიზიკურ - ქიმიურ თვისებების, ნიადაგწარმომქმნელი პროცესების, ნიადაგის დამუშავების ტექნიკური საშუალებების გამოყენების, განოყიერების სისტემების, ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების წესების თეორიულ საკითხებს და ახდენს მათ გააზრებას
- ფლობს მეტეოროლოგიური მოვლენების აღრიცხვისა და კლიმატური პირობების ფორმირების კანონზომიერებების საკითხებს, მელიორაციის ხერხებს და მეთოდებს, სასოფლო სამეურნეო წარმოებაში გამოყენებული ტექნიკური საშუალებების, ნიადაგის დამუშავებისადმი წაყენებული აგროტექნიკური მოთხოვნების, მცენარეთა მავნებლებისა და დავადებებისაგან დაცვის საკითხებს;
- აქვს ცოდნა ეკოლოგიურ ფაქტორებსა და სასოფლო-სამეურნეო კულტურებს შორის კავშირების, ტყის ეკოსისტემების ნიადაგდაცვითი, წყალდაცვითი, თვისებების, ბიომეურნეობების, სასოფლო სამეურნეო და ტყის მცენარეთა მავნებელ - დავადებების და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების შესახებ, სოფლის მეურნეობაში შრომის უსაფრთხო პირობების შექმნის წესების შესახებ.
- იცის ტყეების ფუნქციონალური დანიშნულების ადგილობრივი და ინტროდუცირებული მერქნიანი სახეობების სისტემატიკური ანალიზი და ზოგადი კანონზომიერებები; ძირითადი ტყის სახეობათა ნერგის აღზრდის, ტყის კულტურების წარმოების თავისებურებანი; მერქნის ფიზიკურ-მექანიკური თვისებები და მერქანში მიმდინარე სასიცოცხლო პროცესების კანონზომიერებები, სატყეო საქონელმცოდნეობის და მერქანმცოდნეობის საკითხები, კორომების აღნაგობის, ტყის ჭრების, ტყის აღდგენის თანამედროვე წესები; ტყის ტიპები, ტყის სიმწიფის ფორმები ტყეთმომწეობითი სამუშაოების ჩატარების წესები; ხე-ტყის დამზადების და ტრანსპორტირების საკითხები.

უნარი

- შეუძლია კულტურულ მცენარეთა მოვლა-მოყვანის პროგრესიული ტექნოლოგიების გამოყენება უხვი და ხარისხიანი მოსავლის მისაღებად. შესაფერისი აგროტექნიკური ღონისძიებების დასახვა და ჩატარება,

	<p>სასოფლო-სამეურნეო კულტურების სარგავი მასალის გამოყვანა-გამრავლება ტრადიციული და პროგრესული მეთოდებით</p> <ul style="list-style-type: none"> • შეუძლია ორგანული და მინერალური სასუქების შერჩევა ნიადაგის არის რეაქციის შესაბამისად. ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენის წესების და მეთოდების გამოყენება, მოცემული აგროკლიმატური ზონის მეტეოროლოგიურ კლიმატური პირობების განსაზღვრა და გათვალისწინება სასოფლო სამეურნეო კულტურების განვითარებისა და მოსავლის პროგნოზირების მეთოდების დამუშავების დროს, გარემოზე ამა თუ იმ ფაქტორის მოქმედების განსაზღვრა და უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილების გზებისა და ხერხების დაგეგმვა წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად; შეუძლია ქიმიის, მათემატიკის, ფიზიკის და საინფორმაციო ტექნოლოგიების დისციპლინათა თეორიული ცოდნის გამოყენება აგრარული დარგის სფეროში; • შეუძლია მოცემული აგროკლიმატური ზონის ეკოლოგიური პირობების განსაზღვრა და გათვალისწინება ტყის კულტურების განაშენიანებისას ზონალობის მიხედვით; საქართველოს ტყეებში მთავარი სარგებლობის, მოვლითი ჭრის და სპეციალური ჭრების, ტყის რესურსების რაციონალურად გამოყენების, ტყის დაცვის და ტყის ხელოვნური და ბუნებრივი განახლების სატყეო სამეურნეო ღონისძიებების პრაქტიკულად განხორციელება. ტყის სორტიმეტაცია, ხის ხნოვანების განსაზღვრა, ხის ნამატის განსაზღვრა მოჭრილ და ზრდად ხეზე. განსაზღვროს მერქნის აგებულების ნიშნებით მისი ღირსებები, ფიზიკური და მექანიკური თვისებები. ხე-ტყის გამოზიდვა სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალებებით, სახალხო მოხმარების საქონლისა და საწარმოო დანიშნულების ნაკეთობათა დამზადება, მერქნისა და ნარჩენების ქიმიური გადამუშავება. შეუძლია ქიმიის, მათემატიკის, ფიზიკის და საინფორმაციო ტექნოლოგიების დისციპლინათა თეორიული ცოდნის გამოყენება აგრარული დარგის სფეროში; <p>პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა</p> <ul style="list-style-type: none"> • აქვს შემოქმედებითი, ლოგიკური და კრიტიკული აზროვნების, მკაფიოდ გამოკვეთილი პრობლემების ამოცნობის, ანალიზის, ახალი მოწინავე მეთოდების (მათ შორის წერითი, კომუნიკაციური და სხვ.) კომპიუტერულ პროგრამების გამოყენებით დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბების უნარი • განსაზღვრავს სწავლის შემდგომ საფეხურზე გაგრძელების და პროფესიული განვითარების საჭიროებებს
<p>შეფასების წესი</p>	<p>სტუდენტის შეფასება ხდება შემდეგი სახით:</p> <p>(A) ფრიადი - 91 ქულა და მეტი; ბ) (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა; (C) კარგი - 71-80 ქულა; დ) (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა; (E) საკმარისი - 51-60 ქულა.</p> <p>(FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულის მიღების შემთხვევაში სტუდენტს ბუფლევა ეძლევა დამატებით გამოცდაზე ერთხელ კიდევ გავიდეს.</p> <p>(F) ჩაიჭრა - 40 ქულის ან ნაკლების მიღებისას სტუდენტს საგანი ხელახლა აქვს შესასწავლი.</p>
<p>საკონტაქტო პირი</p>	<p>დარეაჯან ჯაში, ასოცირებული პროფესორი ტელ: 577 210680 ელ-ფოსტა: darejan.jashi@bsu.edu.ge</p>